გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 133
2023 წლის 14 ივლისი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში, საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ვარიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფელ ახალდაბაში საჯარო სკოლის მიმდებარედ მოეწყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობები.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში, საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერი გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 - „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 - „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

საგზაო უსაფთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში, საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში, საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.
2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;
ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);
გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე